

ავგოსტო  
1938 წ.  
№ 149  
პარიზი

# დავით აღმაშენებლის საქართველო

La Géorgie  
Indépendante  
Revue mensuelle  
A O U T  
1938 — № 149  
Paris

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ო .

## მ ი ნ ა ა რ ს ი :

მეთაური—პრომეთეს ფრონტი.  
ს. ფინცხალა—ავგისტოსათვის.  
ბ. არიძე—სრულ გამარჯვებამდე.  
ილია ნუცუბიძე—უკვდავება ხორცუმესხმული.  
რას სწერენ სომხური გაზეთები.  
უცხოეთის მიმოხილვა.

დბსერვატორი—საქ. საკითხი საერ. პოლიტიკაში.  
ნაუმი—წერილი ამერიკიდან.  
მოსკოვის უკან დახვევა.  
ვეფხის ტყაოსანი პოლონურ ენაზე.  
პროფესორი ო. ნიპოლდი.  
ნეკროლოგები. და სხვა.

## პ რ ო მ ე თ ე ს უ რ ო ნ ტ ი

### II. ტ ა ქ ტ ი კ ა .

პრომეთეს ფრონტში შემავალ ერთა და მათი სექციების საერთო მიზანი, მამოძრავებელი ღერძი, როგორც წინა მეთაურში ვსთქვით, ქვეყნის დამოუკიდებლობა არის. ეს მიზანი მუდამ თვალსწინ უნდა გვედგას, მას უნდა დავუქვემდებაროთ თვითელი ჩვენი ნაბიჯი, მისთვის უნდა ვზრუნავდეთ განუწყვეტლივ.

ნაბიჯები და ზრუნვა, მთელი ჩვენი მოქმედება, რაიცა თვით ტაქტიკას წარმოადგენს, ყოველ დროსა და ადგილას ერთი და იგივე არაა, ცვალებადია, განსხვავებით მიზნისაგან. ამიტომ, თუ მიზნის შესახებ დავა უდავლოა, ტაქტიკის ირგვლივ იგი ბუნებრივია. მაგრამ ტაქტიკასაც აქვს ერთგვარი გამოსავალი წერტილი, კრიტერიუმი, რომელიც ცოტად თუ ბევრად სავალდებულოა ყველასათვის.

რაა ეს კრიტერიუმი? უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირის საერთო მდგომარეობა შიგნით და გარედ და მისი სწორი დაფასება. ჩვენ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ამ საერთო მდგომარეობის დაფასებაში პრომეთეს ფრონტში დაახლოებით ერთი და იგივე აზრი სუფევს: ბოლშევიკებმა, მიუხედავად ოცი წლის განუკითხავი ბატონობისა, ვერ შექმნეს რამდენადმე მაინც მტკიცე, მყარი რეჟიმი და, რაც მთავარია, მათ თვითონ არა სწამთ, რომ ოდესმე შექმნიან ასეთს. განა ამით არ აიხსნება ის ცხოველური შიში და კანკალი, რომელსაც ისინი

შეუპყრია სწორედ რეჟიმისათვის და აქედან გამომდინარე დაუზოგველი ტერორი მთელი ხალხის, თვით თავისიანების წინამდევ? საფრანგეთის ტერორმა ერთი წელი და ცოტა მეტი გასტანა, საბჭოთა კავშირში კი ოცი წელი მძვინვარებს,—განა შეიძლება რეჟიმის სტაბილიზაციაზე ლაპარაკი?

არა, თავის თავად მისახვედრია, და ამის მიზეზი სოციალურ და ეროვნულ კითხვების სრულს მოუწესრიგებლობაში, მათი ქაოსურ არე-დარევაში უნდა ვეძიოთ. არასოდეს, თვით ცარიზმის დროსაც, მშრომელი ხალხი და ერნი არ ყოფილან ისე უკმაყოფილონი, გაბოროტებულნი და მტრულად განწყობილნი ხელისუფლების მიმართ, როგორც დღეს. ისინი, ობიექტივურად, თანაბარი სიძულვილით, ზიზღით და შურისძიების გრძობით არიან გაერთიანებულნი საერთო მტრის წინამდევ; ასე რომ, საკმარისია, მოხდეს შინაური თუ საგარეო დიდი გართულება, ისინი გაშმაგებით ეძგერებიან კრემლის მედროვეთ და მათ დამქაშებს ვეება იმპერიაში.

ეს მტრული განწყობილება მმართველთა და ხელქვეითთა შორის, რასაკვირველია, არ გამოპარვია უცხო სახელმწიფოთ, მათ კიდევ უფრო ნაკლებ სწამთ საბჭოთა რეჟიმის სტაბილობა, ანგარიშში აგდებენ მის დამხობის აუცილებლობას და თაღარიგს ეწევიან «ავადმყოფი კაცის» მემკვიდრეობის განაწილებისათვის ახლო მომავალში.

რა ტაქტიკა კმართებთ ასეთ რთულ პირობებში პრამეთეს ერებს ადგილობრივ და მათ სექციებს უცხოეთში? ჩვენ თუ ამ კითხვას შინაურ ძალთა განწყობილების თვალსაზრისით მიუდგებით, მას დიდი ხანია თვით ჩვენმა მებრძოლმა ერებმა ვასცეს პასუხი: შეგნებულად გაურბიან სეპარატულ გამოსვლებს, რადგან იციან, რომ ეს მხოლოდ მოსკოვისთვისაა ხელსაყრელი, რომლის პოლიციური აპარატი გაცილებით უფრო ძლიერია დღეს. ვინემ თავ დაპირველად, როცა ცალკე პატარა ერთი კი ახერხებდა მასთან გამკლავებას, თუმცა გამარჯვება არც მაშინ რგებია. მაშასადამე, ხსნა ისევ საერთო რევოლუციურ ბრძოლაშია, მთელი კავშირის მასტაბში. და აქ კი დიდი მნიშვნელობა უნდა მიეწეროს სოციალურ მომენტს, ნაციონალურის გვერდით.

მართლაც, რუსის ერს, რომელიც რიცხვით დანარჩენ ერებს, ერთად აღებულთ უდრის, სოციალური ჩაგვრა-წამება კქმნის შეუთრგებლად, კბერავს მას რევოლუციურ სულს და ხდის მეტად საშიშარ მტრად დიქტატურისთვის. როცა ადგილებიდან მოგვდის ხოლმე ცნობები, რომ ჩვენი ერნი—რომელთაც, გარდა სოციალურისა, ნაციონალური უღელიც კისერზე ადგიათ—ეს ერები ცენტრიდან უცდიან გადამწყვეტ გამოსვლების სიგნალსო.—ეს იმას მოასწავებს, რომ მათ სწორად აულიათ ალლოცენტრში რუსის ერი გაეგრაფიულად, ხოლო არა რუსი ერები—მის პერიფერიებში; ხელისუფლებაც რუსებს უპყრიათ, სტალინი ხომ რუსული შავრახ მული ნაციონალიზმით აპირებს ფონს ვასვლას, სხვა კოზირები ერთი მეორეზე მოუკლეს მას.

აქედან ერთია დასკვნა: ჩვენი ეროვნული ბრძოლა მჭიდროდ დაკავშირებულია მთელი საბჭოთა კავშირის სოციალურ ბრძოლასთან, რომელშიც ცენტრში მოქცეული რუსის ერი დიდს როლს თამაშობს. ჩვენ ყელამდე დანტერესებულნი ვართ, რომ რაც შეიძლება განიერი და ღრმა ორმო გაითხაროს რუსის ერსა და მის მთავრობას შორის, რომ რუსის ერმა რაც შეიძლება მეტი აქტივობა გამოიჩინოს ბოლშევიკების წინააღმდეგ.

ეს აუცილებელია საერთო რევოლუციური მოძრაობის სახელით და მის გასამარჯვებლად, რომელსაც, პირველ რიგში, ისევ ჩვენი ერები გამოიყენებენ უცხო უღლის გადასადგებად. უფრო სავლდებულა ჩვენთვის თვით ჩაგრულ ერთა განუყრელი, მტკიცე და ძლევაამისი კავშირი საერთო მიზნის მისაღწევად. საუბედუროდ, არ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ასეთი კავშირი ადვილი მისაწდომია ადგილობრივ, მოსკოვის მიერ შექმნილი გაუგონარი

პირობები თითქმის შეუძლებლად ხდის ყოველ ორგანიზაციულ დაკავშირებას არამც თუ ერის გარედ, თვით შიგნითაც. ერთად ერთი იმედი, რაც კიდევ დავგრჩენია, არის ის, რომ, საერთო მოძრაობის დაწყებისას, ჩაგრული ერები გამოიჩინენ საღ ინსტიქტს და სწრაფი მოსახრების უნარს, რათა ხელდახელ შექმნან როგორც კავშირები, ისე საერთო სამოქმედო გეგმა.

და აქვე ისმის მეორე ძირითადი კითხვა: არის თუ არა საზოგადოდ შესაძლებელი საერთო რევოლუციური მოძრაობა? ჩვენ ხომ გამოცდილებითაც ვიცით, რომ ბოლშევიკები უაღრესად დახელოვნებულნი არიან მასიურ აჯანყებათა სწრაფ და შეუბრალებელ ჩაქრობაში. მეორეს მხრით, რუსეთის წარსულიც ხომ იმას მოწმობს, რომ რევოლუციები დაკავშირებული იყო საგარეო მარცხთან, პირველი მეორის მიმყოლი იყო. ამის და მიხედვით, უნდა ვიფიქროთ, ესლაც ასევე მოხდება, თუმცა პერსპექტივაში საგარეო გაურთულებლადაც უნდა მოველოდეთ და მთელის ძალღონით ხელს უნდა ვუწყობდეთ საბჭოთა ციხე-სიმაგრის რევოლუციურად აფეთქებას.

მაგრამ საგარეო გართულება და ომი მაინც მოსალოდნელია. რა ახლოს ვიყავით მასთან კიდევ ორი კვირის წინ! მაშასადამე, სწორი ტაქტიკა ომის დროს არა თუ სადღეისოა, ყველაზე საჭირობოროტო და საპასუხისმგებლო ამოცანაა. ხოლო ამ საგანზე საჯაროდ და გაზეთების ფურცლებზედ კი არ მსჯელობენ, არამედ დახურულ ვიწრო ორგანიზაციებში ბეჯითად სწავლობენ საერთაშორისო ვითარებას, თვითუღ დანტერესებულ სახელმწიფოს ტენდენციებს და აქედან გამოპყავთ სავლდებულ ოხაზი, რომელიც სამოქმედო გეგმასაც შეიცავს განსაზღვრულ მომენტში. თუ თავისუფალი სახელმწიფოები საიდუმლო დიპლომატიას ეწვეიან, ჩვენ რა ყვითელი კიჭი ვართ, ილიას თქმის არ იყოს, ქუჩაში გამოვიტანოთ ჩვენი საიდუმლო ზრახვები! არა—თავისუფალ ერებს და მათ ხელმძღვანელთ გაცილებით მეტი სიფრთხილე მართებთ. უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენ ჩვენს სამშობლოში არა ვართ, აქედან გაქანებაც ძალზე შეზღუდულია.

თქმულიდან ის დასკვნა არ უნდა გააკეთოს მკითხველმა, რომ ჩვენ საჯაროდ სხვა არაფრის გაკეთება არ გვევალება, ეს იქნებოდა საბედისწერო შეცდომა. საბჭოთა ჩაგრულ ერების განმათავისუფლებელ მისწრაფებათა ფართედ გავრცელება, მათი წარსულის და აწმყოს გაცნობა, მათი საგმირო საქმეების გახმაურება, მათთვის რაც შეიძლება მეტ თა-



ნამგრძობთა და მეგობრების მოპოება—აი რაში უნდა გამოიხატოს საერთოდ ჩვენი მუდმივი ცდა და საქმიანობა, ვინ არ იცის, რომ დღესაც კი, როცა საბჭოთა კავშირს ეხებიან. ცოტა გამონაკლისით, მასში მხოლოდ რუსის ერს გულისხმობენ, თითქო სხვა ერები არც კი არსებობდნენ იქ! მაშ სა მუშაო ბევრი გვაქვს, თუ ჩვენ სწორ გზას არ ავცდებით.

ასეთ აცდენაზე ჩვენ კიდევ მიგუთითებ წინა მეთაურში. ჩვენ არა გვაქვს ხელი სხვა სახელმწიფოთა შინაურ რეჟიმზე ვიკამათოთ, ჩვენ მათი მოქალაქე არა ვართ და არც არავინ გვეკითხება, როგორ უნდა მოაწყონ თავისი შინაური საქმეები. რაც შეეხება ჩვენს ერებს, ესენი ხომ თვითონ არიან თავის ბედის გამომწყდენი. ვერბოდნენ, რომ ჩვენი იდეოლოგიური მერყეობით, წაჯექ უკუჯექობით არ შევასუსტოთ, არ მოვსპოთ ის გავლენა, რომელიც კიდევ შეგვრჩენია ჩვენს ერებში; თორემ, თავის თავად ცხადია, ჩვენი აქაური მეცადინეობაც ყინულზედ დაწერილი გამოდგება.

ჩვენ უნდა ვეძებდეთ მეგობრებს ყველა ქვეყნებში, განურჩევლად რეჟიმისა, ხოლო რაც შეეხება მათგან ერთის ან მეტის რომელიმეს სახელმწიფოებრივ დახმარებას შესაფერ მდგომარეობაში, ეს დამოკიდებულია ჩვენ უნარზედაც, როგორც ცოდნითა და ენერჯით დავიცავთ ჩვენს საქმეს და აქედან რა სიფრთხილით შევიზიარებთ მის საიდუმლოებს.



**ა ბ ვ ი ს ტ ო ს ა თ ვ ი ს**

მაისი, თებერვალი და აგვისტო სამი უმნიშვნელოვანესი დატაა ახალი საქართველოს ცხოვრებაში. სამივე ერთნაირი თვისების არაა—ორი თუ დადებითია, მესამე უარყოფითი. შეიძლება. გარეგნულად, ამ სამს დატას აქლია კიდევ ერთი, მომავალი, რომ საბოლოოდ გამოცხადდეს და დამკვიდრდეს ახალი საქართველო. მაგრამ მაისი-თებერვალი-აგვისტო უკვე აღმართავენ მიჯნებს, საითკენ უნდა წარიმართოს ჩვენი ბედი, მათ უკვე გამოსჭედეს ქართველი ერის სული, გაამრთელეს მისი შეგნება, გადაჯაჭვეს სახელოვან წარსულთან და იგი წინ ეგებება აღდგენილ საქართველოს, რომელიც მოვალს, საქართველოს გაერთიანებულს, სუვერენულს, ნაციონალურს...

ტომები, ათეული ტომები, ასეული ტომებიც დაიწერება გასული ოცი წლის ამბებისთვის. რა უწ-

მინდესი ბედნიერება, რამდენი სიმწარე და ტანჯვა, რა სიმაღლე და დაცემა გამოვიარეთ, როგორ გადატყდა ჩვენი არსება, გაფართოვდა და გაღრმავდა ჩვენი ცნობა და განმტკიცდა ჩვენი ნებისყოფა! და ყველაფერი ეს არის, რაც ვართ, რაც ვიქნებით ხვალ..

აი აგვისტო. თოთხმეტი წელიწადი შესრულდა მას აქედ. მცირე მანძილია, ჯერ კიდევ ცხოველია მისი უშუალო განცდები და არ შეგვიძლია მისი სრული და მიუდგომელი შეფასება. ერთნაირად არ მიგუდგებით, სხვადასხვა აზრი არსებობს მისი მიზანშეწონილობის, პირობების, მომზადების, გეგმის, დეტალების შესახებ. ხოლო ერთი რამ უდავოა დღეს და ნათელი ყველასათვის: აგვისტოს აჯანყება იყო ბუნებრივი სტიქიური აღშფოთება ეროვნული დაჩაგვრის წინააღმდეგ; ერმა შეიძლება დამოუკიდებლობის არსებობის დროს ჯერ კიდევ სავსებით ვერ დააფასა 26 მაისის სიდიადე და მერე რაკი დაინახა, თუ რა დაჰკარგა, აღსდგა, შეებრძოლა მოძალადეთ. ეს იყო პროტესტი, შეურთებლობა, ეს იყო მოვალეობის მოხდა მაისის წინაშე, მისი სისხლით დაწერა სამართლიანობა და წარუხოცვლად ყოველი ქართველის გულზე, საქართველოს ტერიტორიის ყოველ მტკაველ მიწაზე. ეს აუცილებელი იყო, ეს ბუნებრივად ამოხეთქილი აჯანყება და მას ვერაფერი შეაჩერებდა. აგვისტოში მთელმა ქართველმა საბოლოოდ მიიღო 26 მაისი და ისე ჩაიმარხა თავის გულში, რომ იქიდან მას ველარავინ ამოგლეჯს.

ასეთია უპირველესად აგვისტოს ისტორიული მნიშვნელობა. ხოლო იგი ბევრს სხვა რამესაც აცხადებს, ღირსეულს, საიმედოს, საამო მომავლის საწინდარს. რასაკვირველია, იყო ცუდი და სუსტი მხარეებიც, მაგრამ ეს დღეს საინტერესო არაა.

ჩემს წინაშეა ს. გოგიბერიძის წიგნი «ბრძოლა სამშობლოსათვის», რომელიც მოგვავიწყებს აჯანყების წინა დროს და უმთავრესად აგვისტოს ამბებს. მშვენიერი წიგნია და ამ სიმშვენიერეს წინასწარ გაგრძობინებთ მისი სათაური. ავტორი გულახდილად, ცოცხლად და ფხიზელი დამკვირვებლის ენით გადმოგვცემს ტრაგიულ წლების ნახულს და გაგონილს. მნიშვნელობა არა აქვს, თუ რამდენად ფაქტიურ სისწორით აგვიწერს ყოველ წვრილმან მოვლენას. გვხიბლავს საერთო სურათები და გონივრული გაგება ამბების, ავტორის განცდები და გრძობები, რომლებიც ამჟღავნებენ ნამდვილ ქართულ მამულიშვილურს შეცნობას. მოთხრობილია გურიის თავგადასავალი უმთავრესად, მაგრამ რაც გურიაში ხდებოდა, იგივე იყო დაახლოებით მთელ საქართველოში.



უცხო ძალის დამყარებული ხელისუფლება ვერ-სად ნიადავს ვერ კპოულობდა და ერთიმეორის უარეს და უსაზინელეს რეპრესიების საშუალებით ცდილობდნენ კომუნისტები ხალხის დამორჩილებას. ხოლო დევნას და შევიწროვებას სულ წინამდები ნაყოფი მოჰქონდა. ფარული თუ აშკარა ანტისაბ-ჟუური მუშაობა, მთელი მოსახლეობის დარაზმვა, მკვიდრი ორგანიზაციები, ყველა ჯგუფის და მიმარ-თულების გაერთიანება, ეროვნული შეგნების განვი-თარება, მკაცრი ეროვნული დისციპლინა და მტკი-ცე გადაწყვეტილება ბრძოლისა—აი რა იყო პასუხი. უთვალავია დახვრეტილი, გადასახლებული, აწით-კებული. შვილი დედამის თვალს წინ იგმირება, ცოლი თავის ქმრის დაღუპვას ხედავს. ძმა და და—ძმისა; მოხუცს, ახალგაზდას, ბავშვს—არავის ინდო-ბენ. მაგრამ ყველა გაუტეხელია და გმირულად ხვდება თავის თუ თავის ახლობელის სიკვდილს. მოწაფეს მსხალაძეს დაატუსაღებენ, აწამებენ, რომ მის საშუალებით მთავარ ორგანიზაციას მიაგონ. რა ამით ვერას გახდნენ, ჩეკისტებმა «ბავშვს ტანს გახადეს, ჩამოკიდეს ფეხებით და მთელი სხეული ნელნელა პაპიროზის ცეცხლით დაუწვეს. ბავშვმა ამასაც გაუძლო და როცა გაანთავისუფლეს, მთელი მისი სხეული პაპიროზის ცეცხლისაგან საცერივით იყო დახვრეტილი. მან განაგრძო მუშაობა და რა ხნით მოიხარდა, აჯანყების შემდეგ ციმბირში გა-დაასახლეს» და იქ გარდაიცვალა. მოხუც გლეხს ქავ-ყარაძეს ჩეკისტები მოსთხოვეს, რომ ხელი მოაწე-როს კომუნისტების წყობილების გამართლების ქა-ლადს. მან ეს წინადადება ზიზღით უარჰყო და შუბლში ჰკრეს ტყვია. მისი ტვინი სარდაფის კედ-ლებს შეანარცხეს და მომავალი ტუსაღებისთვის დასტოვეს ნიშნად. ჰკუთსეღს ტყვიისმფრქვეველი ჰქონდა გადამალული. გაუგეს, დაიჭირეს და სატუ-სალაში რომ მიიყვანეს, ერთმა ტუსაღმა შესძახა (ვით «სამშობლოში» ქართველი შეთქმულნი შესძა-ხებენ გოგია დიაკვანს): «არ შეშინდე. ბიჭო!» რაზე-დაც ჰკუთსეღმა უპასუხა გმირულად: «შიში ვერ იხსნის სიკვდილსაო». ბევრი წამების შემდეგ მტრე-ბმა ჰკუთსეღი ხელფეხშეკრული დახვრეტიეს. და ავ-ტორი ამ ამბავს ასეთი სიტყვებით ათავეს: «ქართ-ველი ერის ისტორიის წიგნი, მტრის მიერ ძალად დახურული, ხელახლა გაიშალა და მის ფურცლებზე ქართლოსის შვილებმა ღირსეულ წინაპართა სიების გვერდით თავიანთი სახელების წერა იწყეს».

დიადაც! და რამდენი იყო ასეთი მაღალი გმი-რობა და თავდადება, ჯერ კიდევ ძალიან ცოტა რამ ვიცით. მარად სათაყვანებელია ის სინაზე, რომელიც

ამშვენებდა ქართველი ერის სიყვარულს დაკარ-გულ თავისუფლებისადმი უბედურების წლებში. რა ღვთაებრივი შარავანდედით იყო მოსილი დამოუკი-დებელი არსებობა და რა იდეალისტური ძმობის და ერთობის სახე მიიღო სოციალურმა ურთიერთობამ. «ყველანი თავს ნათესავებად და ერთი ოჯახის წევ-რებად ჰგონობდნენ. შენი და ჩემი აღარ არსებობ-და. ყველა ცდილობდა, მეტი წვლილი გაეღო». ქარ-თველმა ქალმა, რომლის იშვიათი როლი ჩვენსა ის-ტორიასა და ცხოვრებაში ჯერ კიდევ შესწავლული არაა, ახლაც გამოაჩინა თავისი სიდიადე. «განსაკუ-თრებულ თავდადებას იჩენდნენ ქალები, გვიამბობს ბ. გოგიბერიძე: უნდა ითქვას, რომ ყველა გაჭირვე-ბის დროს ქალები უფრო პროტესტანტული სულით იყვნენ გაქლენთილნი, ვინემ მამაკაცები». მეორე ალაგას კიდევ ვკითხულობთ: «მთელ სოფლებში უმეტესობას მხოლოდ ქალები შეადგენდნენ. მათი ქცევა ყველა ქართველი ქალისათვის საამაყო იქნება: გვივლიდნენ ყველას, გვიმზადებდნენ საგზლებს, აძ-ლევენდნენ ხალხს ფეხსაცმელს, ტანისამოსს, ამხნე-ვებდნენ ყოველმხრივ».

ამ კეთილშობილ ადამიანებს აცისკროვნებდა და წინ მიუძღოდა ძლიერი ეროვნული აღტყინება. პატივცემული ავტორი ასე ახასიათებს 1923 წელს: «ეს წელიწადი შეიძლება მოკლედ ასე დახასიათდეს —ხალხის სრული განკურნება საბჭოთა მთავრობაზე დამყარებულ ილუზიებისაგან, ყველა წრეში და გან-საკუთრებით ახალგაზდობაში ანტირუსული სუ-ლისკვეთების ჩამოყალიბება, ეროვნულ საკითხისა-თვის ერთხელ და სამუდამოდ უპირატესობის მინი-ჭება სხვა სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებზედ... 1923 წ. ბოლოს ჩვენ უკვე გვქონდა ის, რაც არ გვქო-ნდა (მთელ ხალხში) 1921 წელს, ე. ი. მტკიცე და ურ-ყვეი გადაწყვეტილება დამოუკიდებლად ცხოვრე-ბისა»...

შემზადდა და დადგა აგვისტოს აჯანყების ეპი-არ ვიცი, არც მინდა რამე ვთქვა, თუ ტექნიკურად, მატერიალურად რამდენად და როგორ იყო შემზა-დებული აჯანყება—შეიძლება მას ბევრი რამ აკლდა, ძალიან ბევრი. ხოლო აშკარაა, რომ მორალურად, სულიერად იგი იყო საუცხოვოდ მომზადებული, და რასაც ს. გოგიბერიძე აგვიწერს, ამით ქართველ ერს თამამად შეუძლია იამაყოს. აღფრთოვანებული სიყ-ვარული დასახული მიზნის, თავის არდაზოვგა მის მისაღწევად, სპონტანული მისწრაფება საბრძოლვე-ლად და ერთმანეთის მიყოლა, სპარტანული გაუტე-ხელობა, დისციპლინა—ყოველთვის იყო და არის უპირველესი ბრძოლაში. ავტორი, რომელიც მებრ-



ძალთა ერთი ხელმძღვანელთაგანი იყო, ასე აგვიწერს ბრძოლისთვის გამზადებულებს: «არც ერთს მათგანს საეჭვო საკითხი არ დაუხვამს—რა იმედით ვიწყებთ აჯანყებას და რამდენი შანსია გამარჯვების. თითოეული მათგანი მხოლოდ თავიწამოცანის კოხტად შესრულებაზე პიქრობდა, მხოლოდ ამის შესახებ მოითხოვდა განმარტებას, ყველას ისე ეჭირათავი, როგორც რამდენიმე წლით ყაზარმებში გაწრთვნილ მხედრებს. სხვადასხვა მდგომარეობის, განათლების თუ ხნის ხალხს, ყველას ერთი გადაწყვეტილება ეწერა სახეზე: სამშობლოს განთავისუფლება, ამისთვის ბრძოლა». ასეთივე სულიერი აღმასფერა იყო საერთო, ირგვლივ. «მოხუცი დედები და ქალიშვილები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მუშაობაში, ამზადებდნენ, რაც კი პქონდათ და ჩვენ გამოგვადგებოდა. ერთმა ღარიბმა ოჯახმა, მოხუცმა დედამამ თავისი ოთხი შვილი საქმეში ჩააბეს და სამშობლოს სამსახურში გამოგზავნეს. ვისაც ამ დროს ეს ხალხი არ უნახავს, მათვის შეუძლებელია წარმოდგენა, თუ როგორ ყველა უბრალო გლეხი უდიდეს ისტორიულ პიროვნებას ჰგავდა... ეს ის ხალხი აღარ იყო, რომელიც 1918 წ. გურიის კარზედ მოსულ ოსმალების წინაშე მიტინგს ჰმართავდა—ესენი ჩვენი მტრებია თუ ძმებიო? ეს ის ხალხი აღარ იყო, რომელიც დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ თავს იმით ინუგეშებდა, რომ ჩვენში ბოლოსდაბოლოს «ბოლშევიკები» მოვიდნენო. ეს უკვე დამწიფებული, შეგნებული ერთი იყო, თავის ინტერესების მცოდნე და თავის იდეალისაკენ ურყევად მიმავალი»...

ვიცით აჯანყების ბედი, კომუნისტებმა სისხლში ჩაახრჩვეს იგი. მაგრამ დამარცხდა აჯანყება, დამარცხდა აღმსდგარი ქართველი ერთი? მე არ ვფიქრობ. ყური მივაპყრათ ჩვენი ავტორის მოგონებას: «ადგილობრივი მცხოვრებლები, სახლში დარჩენილი ქალები და მოხუცები მოგროვდნენ ჩვენს გარშემო. მათ უკვე იცოდნენ, რომ ჩვენ დავმარცხდით; და ჩვენთვის საშინელი ტანჯვა იყო მათი ნაღვლიანი სახეების ცქერა. არც ერთი საყვედურის სიტყვა მათგან არ ვგსმენია, არავის ჟვითხავს, თუ ხად და რადღვამი იყო ამ სიფლიდან ფრინტზე წასული ხალხი... ჩვენ ძალზე დაღლილები ვიყავით, მათ მოგვიტანეს წყალი, დაგვბანეს ხელპირი, ფეხები, გამოგვიცვალეს წულა-ქალამნები და შეუდგნენ სასწრაფოდ სადილის მზადებას».

ქვეშაობრივად ამ უბრალო ადამიანების ეს უბრალო საქციელი არამც თუ ჩვენი დროის, არამედ მთელი ჩვენი გრძელი ისტორიის დამამშვენებელია. ეს შეუძლია მხოლოდ ერს მაღალკულტუროსანს,

სულგრძელობითა და კეთილშობილობით მდიდარს. ასეთი ერთი არასოდეს მარცხდება, მას ვერა რა გატეხავს და ის თითქოს და ვითომც დამარცხებული მაინც წინ მიდის, გამარჯვებულია!

და მართალია სავსებით ჩვენს წინ მდებარე წიგნის ავტორი, როცა თავის მოგონებას ასე ათავებს, რომ 1924 წ. აგვისტოს აჯანყებულმა ხალხმა «ჩაჰყარა სამუდამო საფუძველი, საკუთარი ძვლებით და სისხლით შედუღებული, სულიერად მკვდრებით აღმსდგარი ეროვნულ საქართველოსი».

ბ. ფირცხალავა.

### ს რ უ ლ გ ა მ ა რ ჯ ვ მ ბ ა მ დ ე

ჩვენი გაზეთის ამავე ნომერში მკითხველი გაეცნობა ბ-ნ ა. კერენსკის ბაას, რომელიც მას ჰქონია მისი ამერიკაში ყოფნის დროს სომხურ გაზეთ «აირენიკ»-ის მთავარ რედაქტორ ბ-ნ რ. დარბინიანთან.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ, როგორც ლიბერალი პ. მილიუკოვი, ისე სოციალისტი ა. კერენსკი, მტრულად არიან განწყობილი რუსეთის მიერ დაპყრობილ ერების სეპარატიულ მოძრაობისადმი. რუს დემოკრატებს ორი სახომი აქვთ; სხვა ქვეყნების დაპყრობილ ერებს უდგებიან ერთი სახომით, რუსეთის მიერ დაპყრობილ მეორეთი. სხვა ქვეყნების დაპყრობილ ერებისათვის უდაოდ ცნობენ სრული თვითგამორკვევის უფლებას, მაგრამ ამავე უფლებას გადაჭრით უარყოფენ რუსეთის საზღვრებში გამომწვევულ ერებისათვის. ა. კერენსკი არც ამ შემთხვევაში ღალატობს თავის თავს და გულდაწყვეტილი შესხივის სომხურ გაზეთის რედაქტორს, რომ «სომხებს გარდა რუსეთში მოსახლე სხვა ერთა შორის არც ერთი არაა, რომ სურდეს მორიგება დემოკრატიულ რუსეთთან. ყველა აყენებს აუცილებელ პირობად აბსოლიტურ დამოუკიდებლობას და მეტად თუ ნაკლებად ყველას მიზანია რუსეთისაგან გამოყოფა»

ა. კერენსკის კარგად ცოდნია დაჩაგრულ ერების სულისკვეთება და მათი ურყევი მისწრაფება სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობისადმი, მაგრამ საჭიროდ არ მიაჩნია ანგარიში გაუწიოს მათ; ის ვერ ურიგდება ამ ერების დამოუკიდებლობას, არ სცნობს მათთვის თვითგამორკვევის უფლებას და ღამობს მათი რუსეთის ტყვეობაში ჩატოვებას. ბ-ნ ა. კერენსკის ალბად ეს ძალდატანება მიაჩნია «მორიგებად დემოკრატიულ რუსეთთან». პ. მილიუკოვი, რომელიც რუსეთის დემოკრატიულ წრეების თვალსაჩინო წარმომადგენლად ითვლება, ამ

რამდენიმე წლის წინად უკრაინელ სეპარატისტებს ზარბაზნებით დაემუქრა, — თუ არ დაკმაყოფილდით იმით, რასაც ჩვენ გაძლევთ, პოლიტიკოსები გავჩუქმდებით და ზარბაზნები ალაპარაკდებიან... რა მოერიგება უნდა შეიძლებოდეს ასეთი ბუნების დემოკრატიასთან?

რუსეთის დაჩაგრულმა ერებმა კარგად იციან, რომ დამპყრობელსა და დაპყრობილს შორის დავას სწყვეტს ძალთა განწყობილება და რუსეთის ტყვეობაში გამომწყვდეულ დაპყრობილ ერების მისწრაფებაც სწორედ იქეთკენ არის მიმართული, რომ ეს ძალთა განწყობილება გადაძრულ მომენტში მათ სასარგებლოდ იქნეს წარმართული. დღევანდელი საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ნახევარს ცოტა მეტნაკლებობით დაჩაგრული ერები შეადგენენ. ამ ერების ერთმანეთ შორის შეთანხმება და ერთ ურყევ მებრძოლ რაზმად დამწყობება იქნება ის არგუმენტი, რომლისთვის ანგარიშის არგაწევა რუს დამპყრობელ ერს სარგებლობას ვერ მოუტანს. ვინც ფიქრობს, რომ თავისი ბედნიერება სხვის უბედურებაზე ააგოს, ადრე თუ გვიან თვითონ გაიხსრატება უბედურების ბადეში. ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა ყოფილი ავსტრო უნგრეთის იმპერია. ეს მაგალითი ა. კერენსკისაც ბევრს რასმეს ეტყვის საგულისხმოდ, თუ იგი საბოლოოდ არ არის დაყრუბული ბორჯით სურვილით, რომ თავისი ხალხის დროებითი და მოჩვენებითი ბედნიერება სხვა ერების უბედურებაზე ააგოს.

დაჩაგრულ ერების მისწრაფება დამოუკიდებლობისადმი, რომელიც დიდად აწუხებს ა. კერენსკის, არ ნიშნავს იმას, რომ ეს ერები თავიანთ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ უთუოდ მტრულად იქნებიან განწყობილი რუსის ხალხის მიმართ. ერთმანეთის სასიცოცხლო ინტერესების გაგება-პატივისცემა და კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარება რუსეთსა და მისგან გამოყოფილ სახელმწიფოებრივ ერთეულებს შორის იქნება ის პოზიტიური ნიადაგი, რომელზედაც ადვილად აღმოცენდება ყველა მეზობელ ერების ყოველმხრივი წარმატება. ეს კარგად აქვთ შეგნებული დღეს დაჩაგრულ ერებს, იგი უნდა შეიგნოს რუსეთმაც.

ა. კერენსკის ინტერვიუში არის ერთი ადგილი, რომელიც კერძოდ ჩვენ, — ქართველებს, — შეგვეხება. იგი სომხურ განჯეთის რედაქტორს უხსნის, რომ ქართველებში არიან სახელმწიფო დუმის და მისი კაბინეტის ყოფილი წევრი ი. წერეთელი და ზოგი სხვებიც, «რომელნიც თანახმა არიან შეინახონ დამოკიდებულება დემოკრატიულ რუსეთთან მაგრამ ვერ

ბედავენ ამის საჯაროდ გამოქმბას, ვინაიდან ეშინათ მასებში უკმაყოფილების გამოწვევის. მაინც შეიძლება იმის თქმა, რომ ქართველები ამჯობინებენ რუსეთთან იყვნენ დაკავშირებულნი, — უფრო სწორად რომ უსთქვათ, ეძებენ რუსეთის მფარველობას, — ვინემ იტალიასთან, გერმანიასთან, ოსმალეთთან თუ სხვასთან. იმათ ესმით დიდი სახელმწიფოს მფარველობის მნიშვნელობა».

წარმოუდგენელია, რომ ჩვენმა პატივცემულმა თანამემამულემ ი. წერეთელმა მადლობა უთხრას ბნ. კერენსკის მის მისამართით წარგზავნილ «კომპლიმენტისათვის». ი. წერეთელს ჩვენთვის ვეჭვილობა არ მოუცია და არც ჭირია ჩვენი დაცვა, მაგრამ სიმართლის თქმა რიგიანობისა და მოვალეობის მოთხოვნაა. მას შემდეგ, რაც ქართველმა ერმა თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა და მთელს მსოფლიოს ამცნო თავისი მტკიცე ეროვნული ნებისყოფა, ი. წერეთელი შინ და გარედ ენერგიულად იცავდა ქართველი ერის სრულ სუვერენობას, მის უფლებას, რომ თვითონ იყოს თავისი ბედის გამგე და ბატონ-პატრონი; ჯერ არსად და არავისგან გვსმენია, რომ მას ამ გზისთვის ელაღატოს. ი. წერეთელი, როგორც დემოკრატი და სოციალისტი, ანგარიშს უწევს მასების სულიერებას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი ლაჩარი იყოს და ეშინოდეს გაბედულად გამოსთქვას მასების წინაშე თავისი მრწამსი, თუნდაც ეგ უკანასკნელი არ ხვდებოდეს ამ სასების სულიერებას. ბ.ნი. კერენსკი ან ძალიან ნაკლებად იცნობს მისი კაბინეტის ყოფილ წევრს, ან ცილს წამებს მას პოლიტიკურის ანგარებით.

ასეთივე ცილისწამებაა, რომ ქართველები თითქოს დაეძებდნენ რუსეთის მფარველობას და მასთან ისეთ კავშირს, რომელიც ქართველი ერის სუვერენულ უფლებებს შეკვეცავს და შელახავს. ქართველებმა დიხანაც, რომ კარგად იციან სრული მნიშვნელობა და ფასი დიდი სახელმწიფოების მფარველობის და ყველაზე უკეთესად რუსეთის «მფარველობის». რუსეთმა თავისი «მფარველობა» დაიწყო იმით, რომ მთელ რიგ მუხანათურ ლაღატა ჩადენის შემდეგ უნამუსოდ დაარღვია რუსეთ-საქართველოს შორის დადებული მეგობრობისა და კავშირის ტრაქტატი; დასახმარებლად და სამეგობროდ ჩვენს დედა ქალაქში შემოსულმა მისმა ჯარმა ისარგებლა ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი გართულებული მდგომარეობა და უხეშად შესწყვიტა მრავალსაუკუნოანი ისტორიის და მდიდარი წარსულის მქონე სახელმწიფოს დამოუკიდებელი ცხოვრება, რუსეთის გუბერნიად აქცია იგი და მისი მართვა-გამგეობა ჩააბარა



კრიმინალურ საქმეებში დახელოვნებულ დიდ და პატარა კნორინგებს; საქართველოს იმ დროინდელი წარჩინებულნი, ქვეყნისათვის თავდადებულნი პატრიოტები კი უხეშ ვახმისტრებს დაატუსაღებია და რუსეთის შორეულ ადგილებში გადასახლა.

ასე «ჰუმანიურად» დაწყებული «მფარველობა» რუსეთმა დაათვა მით, რომ 1917 წელს საქართველო მიატოვა კბილებამდე შეიარაღებულ მტრის წინაშე, ხოლო 1921 წელში თავისი ურდოები შემოუსია მას და ხელახლავ დაიპყრო, გაძარცვა, გაალატაკა და ფიზიკურად განადგურა.

ქართველი ერი ყელამდე სავსეა რუსეთის «მფარველობით» და იმის მტკიცება, რომ იგი კვლავ დაეძებდეს რუსეთის მფარველობას, შიშველი სიყალბეა. სუვერენობისა და დამოუკიდებლობის აღდგენა ქართველი ერის ერთსულღოვანი მოთხოვნა და გარდაუვალი მიზანია. ამ მიზნისათვის იბრძვის იგი რუსეთის ტყვეობაში გამომწყვდეულ სხვა დაპყრობილ ერების გვერდით და იბრძოლებს სრულ გამარჯვებამდე.

ბ. არიძე.

### უკვდავება ხორცშესხმული

ცხოვრება სიცარიელეს ვერ იტანს. ყოველი არსი შესაფერისი შინაარსის მატარებელია: დიდი დიდის; პატარა პატარასი; წარმავალი წარმავლის; წარუვალი წარუვალის. ზეარსი ქვეშინაარსით, ქვეარსი ზეშინაარსით წარმოუდგენელია.

ვინც მუცლით ხოხავს, გაფრენას ვერ ეღირსება, ისე როგორც ცის კამარაში მონავარდე მუცლით არასოდეს იხიხებს. თვითუფს საქუთარი აქვს სულის თქმა, საქციელი და სარბიელი.

დიდი და პატარა, მაღალი და დაბალი, მომაკვდავი და უკვდავი—ყველა სამკვიდრებლის ძიებაშია, მაგრამ სამყარო ყველასათვის არ გაჩენილა: მომაკვდავი კვდება, უკვდავი რჩება. ცხოვრებამ შებრალება არ იცის. დამარცხებული, წაქცეული უღმობლად ისრისება.

დიდი საქმე დიდ მსხვერპლს ითხოვს, გვასწავლის ისტორია. თავის დამკვიდრებზე უფრო დიდი არა არის რა. ის ყფდის ფუძე, მისი აზრი და მიზანია. და ვისაც თავის დამკვიდრება სურს, თავის განწირვაზე მზად უნდა იყოს. ეს საერთო კანონია, როგორც პიროვნული, ისე ეროვნული არსებობის.

ისტორიას ერი ჰქმნის და არა ისტორია ერს. დიდი ერი (შინა ბუნებით და არა რაოდენობით) დი-

დი ისტორიის მქონეა, პატარა პატარასი. სულ უნსტორიო ერი არ არსებობს. ხალხი, რომელსაც ისტორია არა აქვს, ერი არ არის, არამედ უბრალო მასა, უნებო, უთვითმოქმედო, უმიზნო და უშინაარსო.

ქართველ ერს დიდი ისტორია აქვს, რადგან იგი დიდი ერია. ძველი წარსულის სასახლო ფურცლებს ახალი მიემატა. 26 მაისი განუზომელი მნიშვნელობის თარიღია. ასეთი თარიღი ქრის ცხოვრებაში იშვიათია. 21 წელს თებერვალში მტერმა სიმრავლით გვძლია, წავგაქცია. მაგრამ 24 წლის აგვისტომ დაუმტკიცა მთელ მსოფლიოს, რომ 26 მაისი არ მომკვდარა და არც მოკვდება. რაც ორო გავა, აგვისტო უფრო გაიზრდება, მისი მნიშვნელობა უფრო დასანახი იქნება. მოვლენა, რომ სავსებით დააფასო, მის გარეშე უნდა იდგე. ჩვენ, ბრძოლების უშუალო მონაწილეთ, ეს არ შეგვიძლია. ჩვენ უშუალოდ განვიცდით მოვლენათა ზეგავლენას და შთაბეჭდილებათა სიმძიმის ქვეშ ვკარგავთ სათანადო ობიექტივობას, რაც აუცილებლად საჭიროა ანალიზის და შეფასების საქმეში. ჩვენ, შეგვიძლია და ვალდებულნიც ვართ, სისწორით ამოკრეფილი სინამდვილიდან, მასალები დაუგროვოთ მომავალ თაობებს. სამწუხაროდ, ყველაფრის თქმა, დაბეჭდვა დღეს არ შეიძლება. ბევრ შემთხვევაში ვერ ვილაპარაკებთ კონკრეტული ენით, ვერ გადავშლით, ვერ გავხსნით ვარემოებებს, რომლებშიდაც აგვისტოს ბრძოლები ჩატარდა მტერი უღმობელია, გვითვალთვალავს, შურისძიებისთვის მზადაა. ჩვენ უდიდესი სიფრთხილე გვმართებს, ბრძოლამ ზედმეტი მსხვერპლი არ წაიღოს.

მასალები უნდა დაგროვდეს. ამის საუკეთესო წყარო თვით მებრძოლნი არიან. ამიტომ აგვისტოს ბრძოლების ყოველი მონაწილის მოგონება ძვირფასია. ეს მოგონებები უნდა დაიწეროს და დაგროვდეს სათანადო ორგანოს ხელში. დაგროვილ მასალიდან უნდა გამოქვეყნდეს დღეს მხოლოდ ის, რაც საკონსპირაციო და სასტრატეგიო მიზანშეწონილებას არ ავნებს. დანარჩენის გამოქვეყნება გადაიდება იმ ბედნიერ დღისათვის, როდესაც სამშობლო განთავისუფლდება. აგვისტოს ცოცხალი სურათი არ უნდა დაეკარგოს ისტორიას. ის უნდა გადავიდეს მომავალ თაობებში მთელი მისი დეტალებით.

აგვისტო უკვდავებაა, უკვდავება ხორცშესხმული. ჩვენ ის თვლით ვიხილეთ. გვქონდა ბედნიერება მისი უშუალო მონაწილე ვყოფილიყავით.

ზღვა ხალხი, როგორც ერთი კაცი, ამდგარი. ბრძოლები აქ, ბრძოლები იქ. ყველანი თავის პოსტ-



ზე: დიდი, პატარა, ქალი, ვაჟი, მოხუცი, ახალგაზდა. სახლპრო თავგანწირვა. მსხვერპლი დიდია. ბრძოლები გრძელდება. მტერი უამრავია. ბოლოს ხალხი ძლიერდება. მტერმა სიმრავლით გვძლია. მაგრამ აგვისტომ სთქვა თავის უკვდავი სიტყვა: ქართველ ერს სურს იყოს თავისუფალი და ის იქნება თავისუფალი. აგვისტო უკვდავებაა, უკვდავება ხორცმესხმული.

ილია ნუტუშიძე.

**რას სწავნიან სომხური გაზეთები**

«აირენიკ» (დამნაკ. გაზ. ბოსტონი 38 წ. 18 მარტი). გაზეთის რედაქტორის საუბარი ა. კერენსკისთან კავკასიის საქმეებზე: «აირენიკ»-ის მთავარ რედაქტორს რუბენ დარბინიანს 9 მარტს კიმბრიჯში (ამერიკა) შეხვედრა ჰქონდა დროებითი მთავრობის ყოფ. თავმჯდომარე ა. კერენსკისთან. მათ საუბარი ჰქონდათ იმ საკითხებზე, რომლებიც ეხებოდა რუსეთისა და სომხეთის ბედს. ვებუდავთ ამ საუბრის ნაწილს, კითხვა-პასუხის სახით.

რ. დარბინიანი: რა წყარო გქონდათ, რომლის მიხედვით, დაახლოებით ამ ორი წლის წინად, თქვენ დაბეჭდეთ «ნოვია რუსიაში», რომ რუსეთსა და თურქეთს დადებული აქვთ ხელშეკრულება, რომლის ძალით თურქეთმა უნდა დაიცვას კავკასიური ფრონტი, თუ ვინიცაა რუსეთს ომი შეექმნა გერმანიასა და იაპონიასთან?

ა. კერენსკი: ეს ცნობა მივიღე მე ყოვლად სანდო დიპლომატიურ წყაროდან. მაგრამ უნდა დავსძინო, რომ ორი მოკავშირის ურთიერთობა ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში სავრძობლად შენედა, რასაც ააშკარავებს თურქეთის სიმპატიები დასავლეთის სხელმწიფოების მიმართ და თანდათან გაძლიერებული უნდობლობა რუსეთისა თურქეთისადმი.

რ. დარბინიანი: ცდილობენ თუ არა რუსის ლიბერალური და დემოკრატიული დაჯგუფებანი, შეუთანხმდნენ საბჭოთა კავშირის სხვა ერებს, საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მოლოდინში?

ა. კერენსკი: სომხებს ვარდა რუსეთში მოსახლე სხვა ერთა შორის არც ერთი არაა, რომ სურდეს მორიგება დემოკრატიულ რუსეთთან. ყველა აყენებს აუცილებელ პირობად აბსოლიტურ დამოუკიდებლობას და მეტად თუ ნაკლებად ყველას მიზანია რუსეთისაგან გამოყოფა.

რ. დარბინიანი: ეს შეეხება ქართველებსაც?

ა. კერენსკი: მათ შორის არის სახელ. სათათბიროს და ჩემი ქაბინეტის ყ. წევრი ი. წერეთელი და არიან სხვებიც ზოგიერთები, რომლებიც თანახმანი არიან, შეინახონ საქართველოს დამოკიდებულება დემოკრატიულ რუსეთთან, მაგრამ ვერ ბედავენ საჯაროდ ამის გამოთქმას, რათა არ გამოიწვიონ მასების უკმაყოფილება. მაინც შეიძლება იმის თქმა, რომ ქართველები ამჯობინებენ დაკავშირებულნი იყვნენ რუსეთთან—უკეთ ეძიებენ რუსეთის მფარველობას—ვიდრე იტალიასთან, გერმანიასთან, თურ-

ქეთთან თუ სხვასთან. მათ ესმით დიდი სახელმწიფოს მფარველობის მნიშვნელობა.

რ. დარბინიანი: როგორ წარმოგიდგენიათ თქვენ მომავალი რუსეთი?

ა. კერენსკი: როგორც თავისუფალ სახელმწიფოების და ტომთა ერთეულების ფედერაცია, მსგავსად ბრიტანეთის კავშირისა. ვფიქრობთ, რომ ესეთი გეგმა დააკმაყოფილებს რუსეთში მცხოვრებ ყველა ერს და ვიმედოვნებთ, რომ ამ ნიადაგზე ერების მიერ წარმოდგენილ პირობებზე შეესძლებოდა შეთანხმება. რაც შეეხება სომხებს, ჩვენ კმაყოფილნი ვართ მათი დამოკიდებულებით. ისინი იძულებულნი არიან უფრო უყვარდეთ, ვიდრე სხვებს უყვარვართ; მათი მდგომარეობა უფრო რთული და საშიშია.

რ. დარბინიანი: ცდილობთ თუ არა საერთო ფრონტის შექმნას ბოლშევიკების წინააღმდეგ?

ა. კერენსკი: სამწუხაროდ ამაზე უარყოფითი პასუხი უნდა მოგცეთ. იყო საამისო ცდები, მაგრამ უშედეგო. ჩემსა და ლიბერალ-დემოკრატების ლიდერ მილიუკოვს შორის მეგობრული განწყობილებაა, მეტი არაფერი.»

«ფაიქარ» (რამკავარების ორგანო, ბოსტონი, 5 აპრილი). დამნაკელების ორგანოს რედაქტორის საუბარმა ბოლშევიკა გამოიწვია მათი მოწინააღმდეგე რამკავარების მხრით. ამათი ორგანო აცნობს მკითხველებს ინტერვიუს შინაარსს და ამბობს: კერენსკი კმაყოფილებას უცხადებს სომხებს კეთილი დამოკიდებულებისთვის, მაგრამ მან უნდა იცოდეს, რომ დამნაკელები მოითხოვენ დამოუკიდებლობას და «არამც თუ წინააღმდეგნი არიან რუსეთთან ურთიერთობის, არამედ არ უნდათ რუსის აჩრდილის დანახვაც სომხეთის საზღვარზე. ეს ადამიანები (დამნაკ.) იმდენად მოწინააღმდეგენი არიან რუსეთის, რომ ყოველ დღე გული ნალველით ევსებათ, როცა ხედვენ, რომ სომხის ხალხი ჩრდილოეთისკენ გაიყურება. ისინი ამბობენ, რომ უნდა დავივიწყოთ რუსეთი და სხვა გზები უნდა გამოვიხატოთ, სხვათა კარებს უნდა მივადგეთ და არც იმას დაერიდებიან, თუ ოდნავი იმედი ექნებათ, სამხრეთსაც მიმართონ თხოვნითა და მუდარით.

«კერენსკის უნდა სცოდნოდა, რომ მას ესაუბრა სომხეთის ყ. მთავრობის ემიგრანტ წევრთა წარმომადგენელი, ხოლო ნამდვილს სომხის ერს, იქნება მისი «მდგომარეობა რთული და საშიში» თუ არა, ინსტიტუტური კეთილგონიერებით შეგნებულნი აქვს, რომ მიუხედავად რეჟიმისა, კავკასიის ერების და რუსეთის მჭიდრო კავშირი მისთვის ნიშნავს: თავისუფლებას, მშვიდობიანობას და ყოველმხრივ წარმატებას.»

ბოლოს «ფაიქარი» უსაყვედურებს კერენსკის, რომ როცა დრ. მთავრობის თავმჯდომარე იყო, არ მოისურვა სომხის ჯარის კაცების დასავლეთის ფრონტიდან გადმოყვანა ოსმალეთის ფრონტზე; დღეს სომხები ხედავენ, რომ ბოლშევიკები უფრო იცავენ მცირე ერების უფლებებს, და ამიტომ არ მიიღებენ მონაწილეობას რაიმე ანტი-საბჭოურ გამოსვლაში.





### უცხოეთის მიმოხილვა

ჩანგ-კუ-ფენგ.

თუ კიდევ ერთი თვის წინ გორაკი ჩანგ-კუ-ფენგ არავის გაეგონა, დღეს ის ყველასათვის ცნობილი გახდა; იციან მისი გეოგრაფიული მდგომარეობა: საბჭოთა სანაპირო მხარის, მანჯუკუოსა და კორეის საზღვარზედ, შორეულ აღმოსავლეთში. თქვენ იცით, შარშან ზაფხულს, ჩინეთ-იაპონიის ომის წინა დღეებში, საბჭოთა სანაპირო ჯარმა ამურის ზოგიერთი კუნძული დაიკავა, რასაც მოჰყვა იაპონიის ულტიმატუმში ამ კუნძულების დაცლისათვის, და კიდევ დაცლილ იქნა, თუმცა მოსკოვი ირწმუნებოდა, რომ კუნძულები მას ეკუთვნოდა. მზგავსად ამისა, გასულ ივლისის შუა რიცხვებში იმავე საბჭოთა ჯარმა ჩან-კუ ფენგი დაიკავა, მაგრამ იაპონიის მოთხოვნამ მისი დაცლისათვის ესლა არ გასჭრა და მისმა ჯარმა ის ძალად დააცლევინა რუსებს და თვითონ დაბანაკდა იქ, 31 ივლისს. მას შემდეგ, თითქმის ორი კვირა გრძელდებოდა გორაკის ირგვლივ სამხედრო მოქმედება, ჩარეულ იქნენ საკმაო მოზრდილი ძალები იქით-აქედან და ნახმარ იქნა ყველა ჯურის იარაღები. მსოფლიო დიდის ინტერესით უცქეროდა ამ სერიის, რომელსაც ბევრი ასეული მსხვერპლი ეწირებოდა, მაგრამ არავის სჯეროდა. რომ იგი ნამდვილ ომად იქცეოდა ორ დიდ სახელმწიფოს შორის. და ეს ასედაც მოხდა, ჩამოაგდეს დროებითი ზავი, ჯარებს დაახვენიეს 80 მეტრით იქით-აქედან, და ესლა ცალკე შერეულმა კომისიამ უნდა გაიყვანოს საზღვრები სადავო ადგილებზედ.

აი მოკლედ მთელი ეპიზოდი, რომელსაც პრესაში ძალთა გასინჯვა დაერქვა. მართლაც, თუ შარშან, ჩინეთზე გალაშქრების წინ, იაპონიამ გასინჯა რუსის ძალები, რამდენად მზად იყვნენ ესენი ჩარეოდნენ ომში, ჩინეთის გვერდით,—წელს რუსებმა გაუსინჯეს კბილები იაპონელებს, გაბედავდნენ თუ არა ისინი, ჩანგ-კუ-ფენგის გამო, მათთან ომს. შედეგი, როგორც დავინახეთ, ერთი და იგივე არ გამოვიდა: რუსებმა დაიხიეს შარშან, იაპონელებმა არ დაიხიეს წელს. პრესა კი აცხადებს, რომ არც ერთ მხარეს არ უნდოდა ომი და ეს, ცოტა არ იყოს, არ შეეფერება მთლად სიმართლეს.


იაპონიას, რომელიც, მის და მოულოდნელად, ასე ღრმად ჩაეფლო ჩინეთთან ომში, მართლა არ უნდოდა საბჭოთა კავშირთანაც დაეწყოს ის, ხოლო, თუ მაინც იარაღით აიღო ჩანგ-კუ-ფენგი, ეგ მხოლოდ პრესტიჟის საკითხი იყო მისთვის. ყველამ იცის, რა დიდი მნიშვნელობა აქვს სამხედრო პრეს-

ტიეს აღმოსავლეთში: შეიძლება იაპონია შეცდა თავიდანვე, რომ ასეთი დიდი მნიშვნელობა მიაწერა საბჭოთა მიერ ერთი სტრატეგიული გორაკის დაჭერას, მაგრამ, რაკი ერთხელ ასე დააყენა კითხვა, მას არ შეეძლო უკან დახევა, რადგან ეს მოახდენდა მის სისუსტის შთაბეჭდილებას როგორც იაპონიაში, ისე განსაკუთრებით ჩინეთში, რასაც უთუოდ დიდად საზარალო შედეგები მოჰყვებოდა მისთვის. იაპონიას რომ ამ დროებით რუსებთან ვებმა არ უნდოდა, ეს იქიდანაც სჩანს, რომ ის ითმენს, მთელი წლის გასწვრივ, საბჭოთა სრულიად აშკარა დანებებას იარაღით, სურსათით და კაცებით ჩინეთისათვის, მაშასადამე მას გაცილებით უფრო საპატიო მიზეზები ჰქონდა და აქვს, რუსეთს დაძგერებოდა.

იგივე არ ითქმის მოსკოვზე: მას ომი უნდოდა და არც უნდოდა. სამხედრო მოქმედების პროვოკაცია ყოველ შემთხვევაში, მას ეკუთვნის. აქა და, 1886 წლის ჩინეთ-რუსეთის ხელშეკრულებით, ჩანგ-კუ-ფენგი რუსეთის საზღვარშია, და 52 წლის შემდეგ იკავებს მას, რას ნიშნავს ეს, თუ არა პროვოკაცია? ამბობენ, მოსკოვს სურდა ერთგვარი დივერსია გაეკეთებია: მიეზიდა იაპონიის ჯარები თავისკენ, რომ ჩან-კაი-შენკისთვის მდგომარეობა შეემსუბუქებინა ჰანკოუს წინა, მაგრამ ეს ახსნა ნაკლებ დასაჯერებელია. არა, მას სურდა გაესინჯა იაპონიის ძალა და, თუ ის ვერ აღმოჩნდებოდა თავის სიმადლებზედ, მოსლოდნელია, მართლა ჩარეოდა ომში. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობდა ორი გარემოება: ჩინეთის გამძლეობა და გერმანიის აღმოსავლეთისკენ სრბოლის დროებითი შეჩერება, ანშლუსის შემდეგ.

მაგრამ უმთავრესი მიზეზი, რაიცა აიძულებს კრემლის ბატონებს, გარედ ეძიონ რამე გამარჯვება, საბჭოთა კავშირის მეტად გამწვავებული შინაური მდგომარეობა არის. მართალია, საბჭოთა კავშირი ჩინეთის კედლებით არის გარშემორტყმული, მაგრამ მაინც საკმაოდ იციან, თუ როგორ დაღმართისკენ მიექანება ის. სტალინმა სცადა ყველაფერი: ხუთწლიეები, კოლექტივიზაცია, ტერორი, უზენაესი საბჭო და ბევრი სხვა, მაგრამ მდგომარეობა იგივე დარჩა: მოუწყობლობა, არევე დარევა ყოველ დარგში. გაცვდა მისი დიქტატურაც, გამოიფიტა და ხალხი, ჩაგრული ერები თანდათან თავს ზეგითა სწევენ, რაიცა მოასწავებს დიქტატორის ბატონობის ბოლოს მოახლოებას. ასეთ პირობებში, სტალინი ეძებს, როგორც რომანოვები ოდესმე, იოლ გამარჯვებას გარედ, რათა ასწიოს თავისი პრესტიჟი...

რა გამოვიდა ასეთი ცდიდან, უკვე დავინახეთ: ლაჩრულად უკან დახევა. მოსკოვში კი, რა თქმა უნდა, შორეულ აღმოსავლეთის ჯარების გამარჯვებას გაჰკვივან, მაგრამ ამით ვერავის მოატყუებენ. ჩამოვარდა მართლა დროებითი ზავი, მისი ხანგრძლივობა არავის სწამს. ომი გადაიღო მხოლოდ.



### სამართლებლო სპიტი სამართლებლო პოლიტიკა (კვლევისთვის)

სამართლებლოზე წერა თითქოს უადგილოცაა დღევანდელ არეულ-დარეულ ინტერნაციონალურ პირობებში, როცა მშვიდობიანობაზე ყველგან ბევრს ყვირიან და ყველგან ომისათვის ემზადებიან, როცა ყველგან სამართლებლოზე დაყენებით გაიძახიან და სწორედ წინამდევს აკეთებენ—ამ სამართლებლოზე ფხვს ქვეშ თელავენ, ძალმომრეობას სჩადიან. თითქოს არც ერთი მხარე, არც ერთი ჯგუფი არაა პრინციპიული მომხრე ძალმომრეობისა, მტერი სამართლებლოზე, ხოლო ჭკუა-გონება ისე არეულია, რომ ვინც რასაც თვითონ აკეთებს, ის ჰგონია მართლ სამართლებლო.

ამ დაბნეულობაში ხანდახან ობიექტიური მომენტი შემოიჭრება და შეაქვს სინათლის სხივი: ჩაგრულ ერის უფლებების დაცვა თავისთავად სამართლებლოებისათვის ბრძოლაა. ამ ბრძოლის პროცესში ირკვევა ერთი რამ დიდმნიშვნელოვანი: რაგინდ ძლიერი იყოს მხაგრელი და სუსტი დაჩაგრული, რაც უნდა მრავალი იყოს უსამართლობის მომხრე და ცოტა სამართლებლოებისათვის მებრძოლი, ამ სამართლებლოების დამცველთაგან ერთი, რწმენით და გაბედულად თქმული, სიტყვაც შიშსა ჰგვრის მტერს, ავი საქმის დამცველთა პოზიციას პოზიციასზე ატოვებინებს...

წინედაც შეგვიჩინა: ერთა ლიგის დამხმარე ასოციაციათა სახელწოდებით ყველა ქვეყნებში შექმნილ საზოგადოებებში შედის ყველა პოლიტიკურ და რელიგიურ მიმართულების ხალხი, რათა გავლენა მოახდინონ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაზე. სინამდვილეში ეს საზოგადოებები შეიქმნნა მთავრობების ნებისყოფის გამტარებლები. ერთა ლიგის დამხმარების სახით თითქმის ყველა ასოციაცია იცავს თავის ქვეყნის საგარეო პოლიტიკას საზოგადო აზროვნების წინაშე მსოფლიო მასტაბში.

3-10 ივლისს კაპენჰაგენის პარლამენტში შემდგარ ერთა ლიგის დამხმარე ასოციაციათა ინტერნაციონალურ კავშირის წლიური ყრილობის ატმოსფეროდ ბევრად არ განირჩეოდა ვასთაჟის წლის ყრილობის მოწამულ ატმოსფეროსაგან, მიუხედავად ამ ქალაქის და ამ ქვეყნის სიმშვიდით-სიმშვიდითობისა და ზედმიწევნით სტუმართ-მოყვარეობისა: სტუმრებს თან მოეტანათ თავიანთი უპრინციპობა და დაბნეულობა... მართალია, სახეიშო ყრილობის გახსნის სხდომაზე მოსასალმებელ გრძობიერ სიტყვებში ბევრი სიმართლე სთქვეს დანიის საგარეო მინისტრმა მუნსმა და სათნოებით აღსავსე დანიელ ასოციაციის თავმჯდომარე სიმონსენმა და მათი ტონით ილაპარაკა აგრედვე თავის საპასუხო სიტყვაში კავშირის თავმჯდომარე ემილ ბორგე მა. კარგი მუშაობა შესრულდა უსათუოდ აღზრდის, სოციალურ და ეროვნულ უმცირესობათა საკითხებში. პირიქით, დიდ პოლიტიკურ პრობლემების დისკუ-

სიას აკლდა პრინციპიულობა და ლოლიკა: ეთიოპიაზე სულ უმინაარსო, ცალიერი ლაპარაკი იყო და წარზოდგენდა რწმენას მოკლებულ ცდას ამ საკითხის ხელოვნურად წამოყენებისთვის; ჩინეთის და ისპანიის პრობლემებსაც ძლიერ ჩამოქვეითება ეტყობოდა (ქართველმა დელეგაციამ უარყო ყოველივე პასუხისმგებლობა ასეთი რეზოლუციებისათვის და არ მიიღო მონაწილეობა კენჭის ყრავში).

ყრილობის დღის წესრიგში იყო აგრედვე ორი საკითხი, რომლებიც ჩვენი მკითხველთათვის განსაკუთრებით საყურადღებოა: საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა და ქართველ და უკრაინელ ასოციაციათა ძველი სრულ უფლებიან წევრობის აღდგენა. პირველი საკითხი, ორჯერ გადადების შემდეგ, წარსულ თებერვალის სესიაზე ლონდონში განხილულ იქმნა იურიდიულ და პოლიტიკურ კომისიის მიერ, რომელმაც მიიღო რეზოლუცია ცხარე დებატების შემდეგ.

მეორე—გლაზგოვის ყრილობის მიერ 1936 წ. შეცვლილი უნიონის წევრობის სტატუსი, რომლის ძალით ემიგრანტული ასოციაცია არ უნდა იყოს სრულ უფლებიანი წევრი, ბიუროს დადგენილებით ჩვენსა და უკრაინელ ასოციაციას შეეხო. ქართველი ასოციაციის სახელით ხ. შავიშვილმა პროტესტი შეიტანა ბრატისლავაში, ხოლო ბიურომ კვლავ დაადასტურა თავისი წინანდელი დადგენილება. ხ. შავიშვილმა ბრატისლავაშივე შინაგან საკითხთა კომისიის წინაშე გაასაჩივრა, რომელმაც ერთხმად იცნო საქიროდ საკითხის შესწავლა. კომისიის წინადადება ყრილობამ მიიღო და დაადგინა, საკითხი წარდგენოდა კაპენჰაგენის ყრილობას საბოლოოდ გადასაწყურელად. ბიურომ მოიმიზეზა ასეთ საკითხებისათვის მუდმივი კომისიის არ არსებობა და თვით მითვისა მისი «შესწავლა» და თებერვლის სხდომაზე მესამედ თავისი აზრი დაადასტურა. ამით შავიშვილი არ დაკმაყოფილდა და მოითხოვა ბრატისლავის დადგენილების ასრულება. ე. ი. საკითხის კაპენჰაგენის ყრილობის დღის წესრიგში შეტანა. ასეც მოხდა. გარდა ამისა შ—მა დაუგზავნა სპეციალური წერილები ასოციაციებს, სადაც გააცნო მათ საქმის ვითარება და სთხოვა უფლების დარღვევის წინამდევ მხარი დაეყირათ ქ-ლ ასოციაციისათვის. ზოგმა ასოციაციამ პროტესტი კანონიერად იცნო, მაგ. პოლონეთისა, და დაავალეს თავიანთ დელეგატებს საკითხის დაცვა. თავისი მხრით საქართველოს დამხმარე ინტერნაციონალურ კომიტეტის თავმჯდომარე მალშმა ძლიერი წერილით მიმართა უნიონის თავმჯდომარეს ბორელს და საკითხის გადასინჯვა მოითხოვა.

იურიდიულ და პოლიტიკურ კომისიის წინაშე ჩვენი პოლიტიკურ საკითხის დასმისას, რომელსაც თავმჯდომარეოდა საბჭოების დაჩაგრულ ერთა აშკარა მტერი ბოლშევიზიანი როლიერი, სიტყვა აიღო ხ. შავიშვილმა და სხვათა შორის სთქვა:

«რეზოლუციის პროექტი, რომელიც აქ თქვენ წარმოგიდგინეს, ერთხმად იყო მიღებული ლონდონში პერმანენტულ კომისიის მიერ; უეჭველია, მას თქვენც ერთხმად მიიღებთ. თქვენთვის ყველასთვის

საქართველოს საკითხი უდავოა. თქვენ გახსოვთ, როგორ ვერაგულად დაესხა თავზე პატარა ქვეყანას საქართველოს უზარმაზარ სახელმწიფოს რუსეთის ჯარი, ააწიოკეს და დაიპყრეს ის წინააღმდეგ დადებულ ხელშეკრულებისა. ეს რამდენჯერმე აქვს დადასტურებული ჩვენს ყრილობას მიღებულ რეზოლუციებში და აგრეთვე თვით ერთა ლიგასაც. ამაზე თქვენს ყურადღებას აღარ შევაჩერებ. ჩემი შენიშვნა შეეხება მხოლოდ იმას, რომ აქ შესაფერი გაბედულობა არ სჩანს. ამის მიზეზი მე კარგად მესმის: მსოფლიო ფსიქოზის და საერთო დაბნეულობის ზეგავლენა ერთა ლიგაზე და მის დამხმარე ასოციაციათა კავშირზე დიდია. ამიტომ ესენი ხშირად თავის იდეალს ეწინააღმდეგებიან. აქ არის ნამდვილი საფრთხე ამ დაწესებულებისა. ნუ დაივიწყებთ, რომ ყოველივე ინსტიტუტი კაცობრიობის ისტორიაში ამ გზით დასუსტებულია და შემდეგ მომკვდარა კიდევ. გულახდილად უნდა გითხრათ ისიც, რომ ამ დეკადანსის მთავარ წყაროთაგანი ისაა, რასაც ტალეირანი დანაშაულზე მეტად თვლიდა: შეცდომა! მართლაც, მოხდა ბუნების სრულიად წინააღმდეგი დაახლოვება, უკანონო ჯვარდაწერა ორი სავესებით ერთი მეორის წინააღმდეგი შემეცნებისა, ერთი მეორის მტრულ მოვლენისა: სახელოვან დასავლეთის დემოკრატიისა აზიურ დესპოტიზმთან. ამ დაახლოვების, ამ მეგობრობის თვალთახედვის ისრით იზომება ყველაფერი იმ დროს, როცა საკითხი სინამდვილეში სულ სხვანაირად სდგას: ვინ ვის მოინელებს, ვის ჩაყლაპავს და მოსპობს? მე ვფიქრობ, რუსეთის დესპოტიზმის კუჭი ისე დაავადმყოფებულია, რომ მას არაფრის მოინელება არ შეუძლია. მაგრამ ვშიშობ იმავე მიზეზმა იგივე შედეგი არ მოგვცეს: ბოლშევიზმთან დამეგობრებამ (რასაღოს ხელშეკრულებამ) დაღუპა გერმანიის დემოკრატია»...

ამ სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მრავალ რიცხოვან კრებაზე და რომ მას გამოძახილი არ ჰქონოდა, ამიტომ ბოლშევიზმმა თავმჯდომარემ დაიქარა რეზოლუციისათვის კენჭის ყრა, რაც მიღებულ იქნა ერთხმად 5 ივლისის სხდომაზე და მაშინვე მომხსენებლად არჩეული იქნა თავმჯდომარისვე წინადადებით: პოლონეთის პირველი დელეგატი ლიპაშევიჩი! ცხადი იყო ასეთი კარგი მომხსენებლის არჩევა სამანევრო დათმობა იყო შავიშვილისათვის თავმჯდომარის მხრით.

უნდომი ქართველ და უკრაინელ ასოციაციების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ძალიან ხანგრძლივი და ცხარე დებატები გაიმართა შინაგან საკითხის კომისიაში 6 ივლისს. გენ. მდივანმა რუისენმა გაუკეთა კომისიას ისტორიული ხასიათის მოხსენება, საერთოდ საქმად ობიექტიურად დაიცვა ბიუროს დადგენილება. დანიტერესებული ასოციაციები წარმოდგენილნი იყვნენ შავიშვილისა და შულგინის მიერ. სიტყვა აილა შავიშვილმა, რომელმაც ცხადპყო ბიუროს დადგენილების უკანონობა და ერთიანად დაარღვია ყველა მისდა სასარგებლოდ მოტანილი საბუთი. ხ. შავიშვილმა ასე გაათავა სიტყვა: არც ერთი მხრით, როგორც ხედავთ, ბიუროს დადგენილებას ნიადაგი არ აქვს. დანიტერესებულ

ასოციაციების თანხმობის მიუღებლად არავის ქონდა უფლება, შეეცვალა მათი ძველი წევრობის, მდგომარეობა და განსხვავებულ პირობებში ჩაეყენებია. ეს შეიძლებოდა მხოლოდ ერთ შემთხვევაში: თუ მათ ჩაიდინეს რაიმე დანაშაული უნიონის წინაშე. ასეთი მოტივი ხომ არავის წამოუყენებია! განა მათი ბრალბა. რომ იმათ ქვეყნებს თავს დაესხნენ და დაიპყრეს? გაყალბებულია მთელი მდგომარეობა იმით, რომ არამც თუ ეს არ მართლდება იურიდიულად, არც ფაქტიურად და არც მორალურად, არამედ თვით ანგარიშიც, რომელიც სარჩულად დაედო ბიუროს დადგენილებას, შემცდარია. განა არ ფიქრობდით, რომ საბჭოთა კავშირი დიდი ძალაა, მისი აქ ყოფნა მშვიდობიანობის ფაქტორიაო? ახლა ხომ ყველა დარწმუნებული ბრძანდებით, რომ ის არ წარმოადგენს მშვიდობიანობის დამცველ არავითარ ძალას და ვერც ომში გამოადგება ვისმე! მაგრამ ანგარიშიც რომ შემცდარი არ გამომდგარიყო, თვით პოლიტიკა ამ შემთხვევაშიაც ვერ იქნებოდა სწორი. რადგან ეს რეჟიმი დროებითია, წარმავალია, ერები კი რჩებიან. უკვდავი არიან და სახეში უნდა მიიღოს სწორედ ეს, რაც მუდმივია».

შულგინმა განაცხადა: «ჩემ მეგობარ შავიშვილის მთლიანი და დასაბუთებული სიტყვის შემდეგ ჩემი ამოცანა ფრიად გაადვილებულიაო». მხარი დაუჭირა ყველაფერში მას და აღნიშნა, თუ რამდენია საბჭოთა რუსეთს გარეშე უკრაინელი: პოლონეთში, რუმინიაში, ჩეხოსლოვაკიაში, კანადაში, როგორც ეროვნული უმცირესობები. მათი საზოგადო აზრი ყურადსაღები არისო, და სხ. პოლონეთის და რუმინიის დელეგატები ლიპაშევიჩი და სერმესკო კეთილშობილურ გაბედულობით გამოქომაგნენ ქართველ და უკრაინელ დელეგატებს. მათ მოითხოვეს აღდგენა ამ ასოციაციების ძველ წევრობის უფლებებში. ეს გამოვლენები ისე დასაბუთებული და ძლიერი იყო, რომ საფრანგეთის და ინგლისის წარმომადგენლებმაც საჭიროდ დაინახეს, საკითხს დიდის სიფრთხილით მოპყრობოდნენ. მათ ჯერ დაუწყეს რწმუნება ქართველ და უკრაინელ დელეგატებს, თქვენი ერების დიდი სიმპატია გვაქვს არსებითად ეროვნულ საქმეს თანაუგრძობობ, მაგრამ სტატუტების გამოცვლა ასე ხშირად არ შეიძლება და გთხოვთ უკან წაიღეთ თქვენი წინადადება. თავის პასუხში შავიშვილმა სიტყვა: «მხურვალე მადლობას ვუცხადებ იმ მეგობრებს, ვინც ჩვენი წინადადება მიიღეს და დაიცვეს. ფრიად მადლობელი ვარ აგრეთვე იმათი, ვინც ამ წინადადების წინააღმდეგ ილაპარაკეს, ვინაიდან, ეს ჰქმნეს მეგობრულად და კეთილშობილურად» (მიუთითა ფრანგებსა და ინგლისელებზე). ამ მეგობრულ განწყობილებას ჩვენი დაჩაგრული ერებისადმი ჩვენ დიდად ვაფასებთო». გაარჩია წამოყენებული არგუმენტები და დასძინა: «დაიხ, ყრილობა სუვერენია, მიიღოს ეს თუ ის დადგენილება. მაგრამ სუვერენობა განსაზღვრული, მას არ შეუძლია ყველაფერი მიიღოს, რასაც იურისტები კულისებში გაუმზადებენო». წინადადებას პოლანდიელმა დეოვ გატებმაც მხარი დაუჭირეს და კენჭის ყრით კომისიაში ხმის უმრავლესობა მიიღო. ამის შემდეგ ინგლი-

სელმა და ფრანგ დელეგატებმა განაცხადეს, რომ მათ იმპერატორული მანდატი აქვთ ამის შესახებ და გამო-სთქვეს შიში, თუ ეს წინადადება ასე მიღებულად ჩაითვალა, უნიონს კრიზისი მოეწიოს. გენერალურ-მა მდივანმა რუისენმაც ეს შიში გამოსთქვა, ითხოვა გამომანახულიყო რაიმე შემარბიებელი ფორმულა, რისთვის წინადადება შეიტანა სარედაქციო კომი-სიის არჩევსა. ბოლოს და ბოლოს მოხდა შეთანხ-მება: საკითხი პლენალურ კრებაზე იმ სახით არ გა-მოტანილიყო, არამედ ასე—«კომისია, განიხილა რა ქართველ და უკრაინელ ასოციაციების პროტესტი, აღიარებს ეჭვის არსებობას ბიუროს მიერ სტატუ-ტების სწორ ინტერპრეტაციაში და ითხოვს დაევა-ლეს ბიუროს დანიშნოს იურისტთა კომისია ამის შესახებ თავისი აზრის მოსაცემად, რაც მომავალ ყრილობის უმაღლეს და მოხდეს». ამის მოხსენება კრებისათვის ფრანგ დელეგატს მიენდო და მიღებულ იქნა 7 ივლისის პლენარულ სესიონის მიერ.

პოლიტიკური რეზოლუცია არ მოხსენდა სხვა საკითხებთან ერთად პლენარულ კრებებს არც ხუთ. შაბათს და არც პარასკევს. შაბათსაც ბევრი სხვა რეზოლუცია იქმნა მიღებული. როცა ყრილობის დახურვის დრომ მოახწია, თავმჯდომარემ სთქვა, რომ არის რეზოლუცია საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობაზე, დრო აღარ დარჩენილა მის მოსახ-სენებლად, დავას არ იწვევს და კენჭს ვუყრიო. პო-ლიონების დელეგატმა ლიპაშვიტმა უთხრა: არჩე-ული ვარ მომხსენებლად, სიტყვა მომეცითო.—კარგი, მაგრამ გთხოვთ, ძალიან მოკლედო. ლიპაშვიტი გა-დის ტრიბუნაზე და იწყებს:

«ბატონებო, იურიდიულმა და პოლიტიკურმა კომისიამ იქონია მსჯელობა საქართველოს მდგომა-რეობაზე და მიიღო ერთხმად რეზოლუცია, რომლის მოხსენება მე დამავალა. აი ეს რეზოლუცია:

«ერთა ლიგის დამხმარე ასოციაციათა ინტერნა-ციონალურ კავშირის მე-22 ყრილობა, განაგრძობს რა საქართველოს სასარგებლოდ წინედ მიღებულ რეზოლუციების ძალაში შენახვას, კვლავ უცხადებს თავის სიმპატიას ქართველ ერს».

აქ ნათქვამია, ბატონებო, რომ ყრილობა განა-გრძობს წინედ მიღებულ რეზოლუციების ძალაში შე-ნახვას. მინდა მოგაგონოთ, თუ რა რეზოლუციაზეა აქ ლაპარაკი.

— თავმჯდომარე (აწყვეტინებს)—«ეს ზედმეტია. არავინ არ დავობს. რეზოლუციას კენჭს ვუყრი».

— ლიპაშვიტი: «არა, საჭიროა კრებამ იცოდეს, თუ რას აძლევს ხმას, რას ვტოვებთ ჩვენ ძალაში ამ რეზოლუციის მიღებით. ბატონებო, პირველი რე-ზოლუცია, რომელიც ყრილობამ მიიღო 1921 წელს, გამოსთქვამდა თავის აღმფოთებას რუსეთის მიერ საქართველოზე ვერაგულ თავდასხმის და მის დაპ-ყრობის წინააღმდეგ და დაჟინებით მოითხოვდა ერთა ლიგისაგან ზომების მიღებას საქართველოს დამოუ-კიდებლობის აღსადგენად. ამის შემდეგ, ბატონებო, ერთა ლიგამ მართლაც მოკიდა ხელი საქართველოს საკითხს, იქონია ვრცელი დებატები, საქმე კარგად შეისწავლა და მიიღო, თანახმად ჩვენი რეზოლუცი-

ისა, დადგენილებები, რომ ის არ გაუშვებდა შემთ-ხვევას, რათა ჩაერიოს დაჩაგრულ საქართველოს სა-სარგებლოდ. მიუხედავად ამისა ქართველი ერი გა-ნაგძობდა რუსეთის უღლის ქვეშ გმინვას და 1932 წ. პარიზის ყრილობამ გამოიტანა მეორეჯერ რეზო-ლუცია, რომლის უკანასკნელი აბზაცი ამბობს:

მე-16 ყრილობა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ერთა ლიგამ მართლად ორჯერ (1922 და 1924) იქო-ნია მსჯელობა საქართველოს საკითხზე და მიიღო გადაწყვეტილებანი, რომლის ძალით ავალბდა თა-ვის საბჭოს არ გაეშვა ხელსაყრელი მომენტი, რათა დაებრუნებია საქართველოსათვის მისი თავისუფ-ლება. ყრილობა გამოსთქვამს რწმენას, რომ ეს და-ვალება ერთა ლიგისა შესრულებულ იქნება ბოლო-მდე მის საბჭოს მიერ».

ბატონებო, თავისუფლება საქართველოს ამის შემდეგაც არ ეღირსა და ჩვენი უნიონი მესამეჯერ დაუბრუნდა საგანს და თავის 1934 წ. ყრილობაზე ფოლკსტონში გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია:

«მე-18 ყრილობა ღებულობს რა მხედველობა-ში, რომ:

1) საქართველო, რომელიც ოცი საუკუნე არსე-ბობდა, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, გაუქ-მებულ იქნა, როგორც თავისუფალი სახელმწიფო 1801 წ. იმპერატორულ რუსეთის თავდასხმით, წინა-ამდეგ 1783 წ. დადებული ხელშეკრულებისა;

2) საქართველომ 26 მაისს 1918 წელს გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა და ეს აქტი ერთხმად და-მტკიცებულ იქმნა საყოველთაო ხმის მიცემით არ-ჩეულ დამფუძნებელი კრების მიერ;

3) თანახმად 7 მაისს 1920 წ. დადებული ხელშე-კრულებისა, «რუსეთი ცნობს, ყოველი დავის ვარე-შე, საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლო-ბას და სუვერენობას და სრულის თავის ნებით ხელს იღებს ყოველ სუვერენულ უფლებაზე, რომელიც კი ეკუთვნოდა რუსეთს ქართველი ერის და მისი ტე-რიტორიის მიმართ»;

4) საქართველოს დამოუკიდებლობა ცნობილია de jure ყველა დიდ სახელმწიფოთა მიერ და აგრედ-ვე ბევრი სხვა ქვეყნებისაგანაც;

5) ამის შემდეგ, არ გასულა ერთი წელიც, რუსე-თი თავს დაესხა საქართველოს და დაიჭირა მთელი ტერიტორია, მიუხედავად მის მიერ თავისუფლად მიღებული საერთაშორისო ვალდებულებათა.—

აქცევს ერთა ლიგის ყურადღებას საქართველოს მდგომარეობაზე და იმ რეზოლუციებზე, რომლებიც მიღებული იყო 22 სექტემბერს 1922 წ. და 25 სექტე-მბერს 1924 წ. და რომლებითაც იგი მოუწოდებდა ლიგის საბჭოს, ფიხნლად ედევნებია თვალყური ქვე-ყნიერების ამ ნაწილში მომხდარ ამბებისათვის და ხელიდან არ გაეშვა ხელსაყრელი შემთხვევა, რათა დახმარებოდა საქართველოს, მშვიდობიანი საშუა-ლებით და თანახმად საერთაშორისო უფლებისა, ამ ქვეყანაში ნორმალური მდგომარეობის აღსად-გენად».

აი, ბატონებო, რას ვტოვებთ ძალაში დღეს ჩვენ

ამ რეზოლუციის მიღებით, ვინაიდან საქართველო ახლაც არაა გათავისუფლებული რუსეთის ჩაგვრისაგან და კვლავ მოვიტხოვთ აღდგენილ იქნას მისი დამოუკიდებლობა».

ლიპაშვილის სიტყვის ინგლისურად გადათარგმნისთანავე ხ. შავიშვილმა მოითხოვა სიტყვა. მთელი კრება ტაშისცემით შეხვდა. მაგრამ თავმჯდომარე აღელვებით წამოგდა, შავიშვილს ხელი ჩაქოართვა და ღიმილით უთხრა: წინამდებე ნამ არ გნებავთ ლაპარაკი, რეზოლუციის ერთხმით მიღებას გილოცავთ, გისურვებთ თქვენი ქვეყნის განთავისუფლებას და გთხოვთ, ნუ ლაპარაკებთო». უეჭველია, ყველაფერი ეს გათვალისწინებული იყო, ასეთ პირობებში ლაპარაკი მართლაც არ ღირდა და იგი კრების ტაშისცემის ქვეშე დაბრუნდა თავის ადგილზე.

ღმსვინაძე.

### წმინდა ანდრია

სხვადასხვა დროს ცოტა რამ მოვიხსენიებ ამერიკის კომუნისტურ პარტიის მდგომარეობა-მოქმედების: მათი საერთო სისუსტე, დებორჯანიზაცია, ფენის მოუკიდებლობა იმ წრეებში, სადაც მოინდომეს თავის რწმენის ქადაგება.

სად არ სინჯავს? რასაკვირველია, პირველად ამერიკის მუშათა შორის. მაგრამ აქ წააწყდენ ამერიკის მუშათა ფედერაციის მჭიდრო და რეალურ არა პარტიულ ორგანიზაციას, რომელმაც, არამც თუ უკუაგდო კომუნისტური პარტიის დოქტრინა. არამედ შეებრძოლა მას და განდევნა თავის წრიდან (ეს დამტკიცებულ იქნა მათი დელეგატების მიერ ამსტერდამის ინტერნაციონალის კრებაზე).

მერე კომუნისტებმა სინჯეს მოქმედება ჯარში და მეზღვაურთა შორის, განსაკუთრებით უკანასკნელთა შორის ლამაზ ქალების საშვალებით, მაგრამ ეს ფიასკოთი ვათავდა და კომუნისტებმა მათ შორის ფენი ვერ მოიკიდეს.

მერე სარბიელი გადატანილ იქნა სასწავლებლებში: უნივერსიტეტებში, საშვალო და დაბალ სკოლებშიც. აქ მათმა მოქმედებამ საერთო ყურადღება და რეაქცია გამოიწვია. თანდათან აქაც გაარჩიეს მგლები ცხვრებიდან და კომუნისტური პროპაგანდა ძალზე შენედა.

ახლა კომუნისტურმა ამბიციებმა სულ საოცარ, მოულოდნელს ალაგას ამოჰყო თავი. მათ გაკოტრებას ალბად საზღვარი არ აქვს. ვინ იფიქრებდა, რომ კომუნისტური პარტია მიმართავდა პირდაპირ სამღვდელთა და ისიც კათოლიკურს, რომელიც დაუძინებელი მტერია კომუნისტების. წარბშეუხრელად, მოურიდებლად წერილები გაუგზავნეს ნიუ-ორკის კათედრალის და სხვა ეკლესიების მღვდლებს. ვინ აგზავნის?— ოფიციალურ პარტიის ბლანკზე ნიუ-ორკის კომუნისტურ პარტიის მდივანი ჰენრი ფორბსი. წერილს თან ახლავს თუთხმეტ გვერდიანი პამფლეტი მთელი ამერიკის კომუნისტურ პარტიის მთავარი მდივნის და ყოფილი საპრეზიდენტო კანდიდატის (როცა მან მიიღო მხოლოდ ოთხმოცი ათასი ხმა, როდესაც რუზველტმა 27 მილიონი) ერლი ბროუდერის.

ნიუ-ორკის პარტიის მდივანი ფორბსი ურჩევს მღვდლებს: «კარგად გაარჩიეთ და აწონდაწონეთ ეს პამფლეტი, რომ გამოვანახოთ სამუშაო ნიადაგი, რომელზედაც შეთანხმდებიან კათოლიკები და კომუნისტები».

ყოფილი (შეიძლება მომავალიც) საპრეზიდენტო კანდიდატი მიმართავს: «ნელს ვიწოდებთ კათოლიკებს ძმური თანამშრომლობისათვისო». და არკვევს რა, თუ რა არის საერთო კომუნისტებსა და კათოლიკებს შორის, განაგრძობს: «რელიგიური რწმენის კითხვები არაფერ შუაშია ამ პრობლემასთან... ეთიკის საფუძვლის კითხვები, არც ოჯახისა და სოციალურ მორალის კითხვები არ იძლევა პრაქტიკულ განსხვავების და გათიშვის მიზეზს კათოლიკებსა და კომუნისტებს შორისო». და სხვადასხვა, ამის მსგავსი რამდენიმე გვერდი. ადვილი წარმოსადგენია, რა განცვიფრება და აღშფოთება გამოიწვია კომუნისტების ასეთმა მოულოდნელმა და უღიერმა ხერხმა.

მღვდლების უმრავლესობამ უყურადღებოდ დასტოვა კომუნისტების მიმართვა, ზოგმა კი საყდრის კაფედრიდან მიმართა მრევლს, რომ გაეორკეცებიათ ბრძოლა «კომუნისტების მგლებთან, რომელნიც ცდილობენ, გაეხვიონ კრავის ტყავში. მას მერე, რაც კომუნისტებმა შავი ღლე დააყენეს სამღვდლოებას და რელიგიას იმ ქვეყნებში, სადაც ბატონობენ, დაუჯერებელია და ჩვენ აღშფოთებას საზღვარი არა აქვს, რომ ბედავენ, ჩვენ მოგვმართონო»...

მღვდლების ასეთი ქადაგების საპასუხოდ იმავე ფორბსმა პრესის საშვალებით განაცხადა, რომ მღვდლების ჩვენს წინამდებე გალაშქრება დამყარებულია მათი ყალბ კონცეპციასზე კომუნისტების შესახებ და არა ჩვენსა და მათ შორის ფაქტიურ განსხვავებაზე. მთავარი ისაა, რომ კათოლიკებს აქვთ პოლიტიკური თავისუფლება და კათოლიკების და კომუნისტების თანამშრომლობა არ არღვევს ეკლესიის დოქტრინასო...

რა იდეურ სილატაკეს უნდა განიცდიდეს ამის ჩამდენი პარტია ერლი ბროუდერის წინამძღოლობით!

სხვათა შორის, ეს ვაჟბატონი რამდენიმე საათის განმავლობაში პასუხს აძლევდა სამი კვირის წინად ვაშინგტონში კონგრესის კომისიას (კონგრესის საგანგებო კომისია გამოიძებას აწარმოებდა კომუნისტების და ნაციონალისტების მოქმედების შესახებ).

კომისიის თავმჯდომარის სენატორის მაკნაბოს შეკითხვაზე ბროუდერმა განაცხადა: «კომუნისტური ინტერნაციონალის დადგენილება ჩვენთვის სავალდებულოა მხოლოდ მას მერე, როცა ჩვენ აქ იმაზე ვიმსჯელებთ და მივიღებთო».

«ყოფილა თუ არა ოდესმე შემთხვევა, რომ რომელიმე მისი დადგენილება არ მიგელოთო»? შეეკითხა თავმჯდომარე.— «არა, ჯერჯერობით ყველა საკითხზე თანახმა ვიყავითო», უპასუხა ბროუდერმა

(მახსენდება ამერიკაში გავრცელებული ანეკდოტი: როცა მე და ეკატერინემ ჯვარი დავიწერეთ, გადაწყვიტეთ, რომ ყოველი უმნიშვნელო კითხვა მას უნდა გადაეწყვიტა და ყოველი მნიშვნელოვანი მეო; უკვე ხუთმა წელიწადმა გაიარა და ჯერჯერობით მნიშვნელოვანი კითხვა არ დავგზავნივარ, განაცხადა კმაყოფილმა ქმარმა).

«პარტია არ ღებულვობს პირდაპირ განკარგულებას მოსკოვიდან, განაცხადა ბროვდერმა შეკითხვაზე, თუმცა ვხვდომდვანელობთ სტალინის სიბრძნითო». «მე ვიმედოვნებ, რომ ჩვენ კომუნისტები შევისწავლით მეტს, ვიდრე სხვა ხალხი, სტალინის სიტყვებიდანო», დაუმატა ბროვდერმა.

კომისიის თავმჯდომარემ აჩვენა ბროვდერს მისი (ბროვდერის) წიგნი სათაურით «კომუნისტი ამერიკაში», საიდანაც წაიკითხა: «კრიზისიდან გამოსავალი გზა არის მხოლოდ, როცა მასიური მოძრაობა მუშებისა შეებრძოლება ყოველ დღე კაპიტალიზმს. ვიდრე საბჭოების მთავრობა არ დამყარდება შეერთებულ შტატებშიო».

ბროვდერმა უპასუხა: «დღეს ასე არ ვიტყვოდიო» (ამ წლის კონფერენციაზე კომუნისტურმა პარტიამ მოიხსენია რეზოლიუციაში, რომ მხარს უჭერს არსებულ დემოკრატიულ წესწყობილებას, თუმცა რევოლუცია არ უკუუვდია).

თავმჯდომარის შეკითხვაზე, თუ ვის მხარეზე იქნებოდა, რომ რუსეთსა და ამერიკას შორის ომი მოხდესო. ბროვდერმა განაცხადა: «ომი მათ შორის შეუძლებელია, მაგრამ რომ მოხდეს, შეერთებულ შტატების მხარეზე ვიქნებიო... თუმცა პაციფისტი არა ვარ, მაგრამ ომის დროს ომის წინააღმდეგობის გამო ორჯერ ვიჯექი ციხეშიო. მერე საერთაშორისო ამბებმა შესცვალა ჩემი შეხედულობაო»...

«ნიუორკის ტაიმის» მოსკოვის კორესპონდენტი პაროლდ დენნი ატყობინებს თავის გახეთს, რომ ძალიან ყურადღებას და კბილების ღრუქენას იწვევს საბჭოთა მთავრობაში გერმანიის მოქმედება ირანშიო, რომელსაც მიაწერენ პოლიტიკურს და მილიტარულს მნიშვნელობას საბჭოების წინააღმდეგო.

დენნი ამბობს: სპარსეთი იქნება საუკეთესო ბაზა, საიდანაც ადვილად შეიძლება დატემა კავკასიაზე, რომელიც საბჭოების ნავთის ცენტრიაო. თვით საბჭოების ცნობით გერმანელები აშენებენ დიდ ჰაეროდრომს თეჰრანში მათი სამგზავრო და სავაჭრო ჰაეროპლანებისთვის, რომლის გზა გერმანიის ხელშია: ბერლინ-ათინა-როდეს-დამასკო-ბაღდადი-თეჰრანი-ქაბული. ეს უეჭველად პოლიტიკურ და მილიტარულ განზრახვებისთვის არის, რადგან ამის ოპერაცია ხარჯს არ დაფარავსო.

უფრო საშიშია ის, რომ სპარსელებმა ნებართვა მისცეს გერმანელებს სამხედრო ჰაეროდრომის აშენებისთვის ქალაქ მემდში, საიდანაც ადვილი მისაწვდომია ჰაეროპლანებით ბაქა და ბათუმიო. ცნობებია აგრედვე, რომ გერმანელებმა დაიწყეს გემების აშენება ფეჰლოვისში, რომელიც მდებარეობს ორას მილის მანძილზე ბაქოდანო.

თუ საბჭოების ეს ცნობები მართალია, გერმანია ისე ემზადება, რომ შეეძლოს დაკვრა საბჭოების სამკედრო სასიცოცხლო ალაგას, თუ ომი მოხდაო.

ეს ისევე ძველი გერმანიის მისწრაფებაა «დრანგნახ ოსტენ». გერმანიას აქვს სპარსეთთან ხელშეკრულება, რომლის მსგავსი აქვს ბალკანეთის და დანუმიის ერებთანო. სპარსეთში გერმანია შოულობს ნიკელს, ტყვიას, სპილენძს და სხვა ნედლ მასალას. სპარსეთში გერმანიამ მოიყვანა აუარებელი სპეციალისტი, რომლის უმრავლესობა მსტოვოები არიანო. ბევრმა მათგანმა სპარსეთის სამინისტროშიც ამოკყო თავი, სადაც რასაკვირველია შეუძლიათ მთავრობის ხაზზე დიდი გავლენა იქონიონო...

საერთოდ, გერმანიის მზადება საბჭოებს ძალიან აწუხებსო...

ნაურო.

**მოსკოვის უკან დახევა**

(«Volk. Beob.», 12 აგვ. 1938 წელი)

საბჭოთა რუსეთსა და იაპონიას შორის დამყარებული დროებითი ზავის შესახებ «გერმანული დიპლომატიურ-პოლიტიკური კორესპონდენტი» სწერს:

«მოსკოვიდან და ტოკიოდან მოსული ცნობები ამოწმებენ, რომ იაპონიის ცდამ და ზრუნვამ და აგრედვე სხვა ქვეყნების გაფრთხილებებმა მოსკოვის მიმართ შესძლეს საბჭოთა რუსეთის და მანჯურიის სახელგარზე დროებითი ზავის დამყარება. მიუხედავად იაპონიის წინადადებებისა, რომ კონფლიქტი მშვიდობიანად ამოეწურათ, საბჭოთა რუსეთის მხიდან გამუდმებით ახალ-ახალი ჯარები იგზავნებოდა ომში, რაც ამტკიცებს, რომ მოსკოვის სურვილი იყო, თავისი განზრახვა იარაღის ძალით შეესრულებია, და რომ ის მისტიური ჩინეთ-რუსეთის ხელშეკრულება, რომელსაც მოსკოვი ეყრდნობოდა, ვერ აძლევდა მას საკმაო იურიდიულ ბაზის თავის საქმის დასაცავად».

თუ დღეს მოსკოვი იაპონიის წინადადებაზე დანთანხმადა, ეს აიხსნება, ცხადია, არა იმდენად მოსკოვის სურვილით, ქვეყანას თავისი მშვიდობიანობის სიყვარული უჩვენოს, რამდენადაც შეგნებით, რომ ამ შემთხვევაში მეტის მეტად აშკარა იყო მისი პოზიციის უსამართლობა. საბჭოთა მთავრობამ ამ შემთხვევაში ვეღარ გაბედა ცეცხლთან თამაშის გაგრძელება. ამას გარდა, როგორც სჩანს, აქ მნიშვნელოვანი საშინაო პოლიტიკური მიზეზებიც მოქმედებდა, რაც კონფლიქტის გამწვავებას მოსკოვისთვის არა ხელსაყრელად ხდიდა.

თუმცაღა დღეს იაპონიამ დაკმაყოფილება მიიღო, ვინაიდან მისმა შემარბიგებელმა ტაქტიკამ განმარჯვა, მაგრამ ყოველსავე ექვს გარეშე, რომ მოსკოვი მომავალშიც ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში შეეცდებოდა, ხელახლა არეუღარევა გამოიწვიოს. მეტის მეტად კარგად არის ცნობილი მოსკოვის პოლიტიკის ტაქტიკა, მეთოდისა და მისწრაფება. და